



სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

22 ოქტომბერი 2024

ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 152

„2024 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2024 წლის 01 მარტის N17 ბრძანებაში ცვლილების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/5 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N1353414, 21.10.2024წ.) შესაბამისად,

ვბრძანებ:

- შევიდეს ცვლილება „2024 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2024 წლის 01 მარტის N17 ბრძანებაში და ბრძანების მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"13. კონკურსის კოორდინატორად განისაზღვროს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის სპეციალისტი ნინო აბუსელიძე."
- დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული ფონდის (შემდგომში - ფონდი) მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;
- ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
- ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი

თ. დოჭვირი